

ოლღა ყურაშვილი

მის: მთანმინდის ქ. 7

მობ: 577 435298

ელ.ფოსტა: o.kurashvili@gmail.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარე შპს "გრუზვინპრომი"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს მსს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩემი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. დამოუკიდებელი ვარ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩემ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულე ამ ნორმებით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტორის მიზანია, მოვიპოვო დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცე აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩემს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა:

- ვადგენ და ვაფასებ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავ და ვატარებ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც

საკმარისი და შესაფერისი იქნება მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლი აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმო კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის

- მოსაზრების მოდიფიცირება. ჩემი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

- ვაფასებ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდი ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ოლღა ყურაშვილი

5 ოქტომბერი 2018 წ.

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-524738

შპს „გრუზვინპრომი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	19 241 897	9 890 498	10 208 245
არამატერიალური აქტივები	1 935	824	1 030
სულ გრძელვადიანი აქტივები	19 243 833	9 891 322	10 209 274
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	32 345 860	30 092 890	50 220 130
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22 737 649	14 136 428	7 226 925
სხვა მიმდინარე აქტივები	9 115	113	2 812
საგადასახადო აქტივები	2 021 092	876 520	205 211
ფული და ფულის ექვივალენტები	325 611	2 185 342	2 193 238
სულ მიმდინარე აქტივები	57 439 327	47 291 293	59 848 316
სულ აქტივები	76 683 159	57 182 615	70 057 590
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
კაპიტალი	59 841 789	57 740 282	67 740 282
აკუმულირებული მოგება/ზარალი	(22 732 862)	(26 851 587)	(12 755 672)
სულ კაპიტალი	37 108 927	30 888 695	54 984 610
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	24 941 818	15 480 447	15 000 000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	24 941 818	15 480 447	15 000 000
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13 634 882	6 804 118	72 981
გადასახდელი ხელფასები	15 123	9 355	-
სხვა ვალდებულებები	982 409	4 000 000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	14 632 414	10 813 473	72 981
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	76 683 159	57 182 615	70 057 590

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული სააღმწარესი პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 აპრილს.

დირექტორი
 მ.ფოთოლაშვილი

შპს „გრუზვინპრომი“
სრული შემოსავლის გაანგარიშება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2017 წელი	2016 წელი
შემოსავალი		
საოპერაციო შემოსავალი	36 031 540	15 264 213
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(24 673 218)	(28 117 015)
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	11 358 322	(12 852 802)
საპროცენტო შემოსავალი	541 686	833 325
არასაოპერაციო შემოსავალი	166 409	185 064
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	708 095	1 018 389
კომერციული ხარჯები	(1 147 556)	(547 521)
ადმინისტრაციული ხარჯები	(625 659)	(418 064)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2 381 380)	(1 252 621)
სხვა ხარჯები	(220 977)	(111 164)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	7 690 845	(14 163 783)
საპროცენტო ხარჯი	(1 751 109)	(1 502 893)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(2 498)	(267)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი ნეტო	(1 818 513)	1 571 027
სულ არასაოპერაციო ხარჯები	(3 572 120)	67 868
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	4 118 725	(14 095 915)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	4 118 725	(14 095 915)

შპს „გრუზვინპრომი“

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	გადაფასებ ის რეზერვი	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	67 740 282			67 740 282
კაპიტალის შემცირება	(10 000 000)			(10 000 000)
საანგარიშო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	(26 851 587)	-	(26 851 587)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	57 740 282	(26 851 587)	-	30 888 694
დამფუძნებელთა შენატანები	2 101 507			2 101 507
საანგარიშო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	4 118 725	-	4 118 725
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	57 740 282	(22 732 862)	-	37 108 927

შპს "გრუზვინპრომი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

	2017 წელი	2016 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან/მომსახურების განწევრიდან მიღებული ფულადი სახსრები	25 018 648	16 507 612
საქონლის/მომსახურების მომწოდებელთათვის და თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(22 089 561)	(7 986 063)
საკომისიო გადასახდელებით და სხვა საოპერაციო ვალდებულებით გადახდილი ფულადი სახსრები	(46 811)	(21 026)
გადახდილი პროცენტი	(1 751 109)	(1 502 893)
გადახდილი გადასახადები	-	(294 454)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	1 131 167	6 703 176
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების შეძენა	(12 678 467)	(1 398 598)
გაცემული სესხების დაბრუნება	1 845 000	-
მიღებული პროცენტი	327 548	74 813
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(10 505 919)	-1 323 785
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	16 236 197	18 752 455
სესხების დაფარვა	(7 890 712)	(18 760 281)
კაპიტალის ზრდა	2 101 507	-
სესხის პროცენტის თანადაფინანსება	475 370	506 904
დამფუძნებლის ვალდებულება	(3 732 820)	(6 000 000)
სხვა ფინანსური შემოსავლები	715 229	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	7 904 771	(5 500 922)
ფული და ფულის ექვივალენტები		
1 იანვრის მდგომარეობით	2 185 342	2 193 238
წმინდა ზრდა კლება წლის განმავლობაში	(1 469 981)	(121 531.20)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	(389 751)	113 636
31 დეკემბრის მდგომარეობით	325 611	2 185 342

ოლღა ყურაშვილი
მის: მთაწმინდის ქ. 7
მობ: 577 435298
ელ.ფოსტა: o.kurashvili@gmail.com

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორული დასკვნა

შპს „გრუზინპრომი“-ს სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ჩემი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობით ანგარიშგებას) და არანაირ მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე.

ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით აუდიტორის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნო ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობით ანგარიშგებას) და განვიხილო სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან. ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მმართველობითი ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებიდან და ასახავს კომპანიის ისტორიას და საქმიანობის მიმოხილვას.

ოლღა ყურაშვილი

5 ოქტომბერი 2018 წ.

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-524738

მმართველობითი ანგარიშგება

2017 წელი

შინაარსი

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.	1
საწარმოს საქმიანობა	1
საწარმოს დასაქმება	2
საწარმოს ქონება	2
საწარმოო პროცესების მართვა	2
განვითარების გეგმა	3

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.

ორგანიზაცია შპს 'გრუზვინპრომი' (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს ღვინის და ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ კომპანიას.

2015 წლამდე კომპანია წარმოადგენდა სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობის საწარმოს. პრივატიზაცია განხორციელდა 2015 წლის ნოემბრის თვეში.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა - გენერალური დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებელი არის:

შპს „Bolero & Company“ – 100%.

2. საწარმოს საქმიანობა

საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს ყურძნის გადამუშავება და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ამასთან წარმოებული პროდუქცია აღიარებული და შეფასებულია როგორც მაღალი ხარისხის და მასზე მოთხოვნა იზრდება.

პრივატიზაციის შემდგომ მოხდა ახალი ბაზრების ათვისება და ახალი სახეობის პროდუქციის დამატება. ამასთან გაიზარდა რეალიზაციის მოცულობა:

1. შემოსავალი რეალიზაციიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში შეადგენს:

* 2016 weli – 15 264 213 ლარს;

* 2017 weli – 36 031 540 ლარს;

2. საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა საწარმოს რეორგანიზაცია;

3. არ მიმდინარეობს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი;

4. საწარმოს საქმიანობა არ არის სეზონური;

5. საწარმო პროდუქციის ნედლეულით და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფილია.

3. საწარმოს დასაქმება

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის შესაბამისი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება საწარმოს განვითარების სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში.

4. საწარმოს ქონება

საწარმოს აქტივები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 76 683 159 ლარს, მათ შორის გრძელვადიანი აქტივების ღირებულება - 19 243 833 ლარს. საწარმოს ძირითად მატერიალურ აქტივს წარმოადგენს საკუთარი წარმოების ღვინომასალები და საკონიაკე სპირტები.

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა საწარმოო მანქანა-დანადგარების განახლება. ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 12 678 467 ლარი.

5. საწარმოო პროცესების მართვა

2016-2017 წლების განმავლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებას და მასზე გაწეული ხარჯების ანალიზს. გაწეული სამუშაოების შედეგად მიღწეულ იქნა ხარჯების სწორად დაგეგმვა და კომპანია არსებობის პერიოდში (იგულისხმება სახელმწიფო საწარმოდ არსებობის პერიოდიც) გახდა მომგებიანი და საანგარიშო პერიოდი დაასრულა მოგებით.

ბრუნვის მოცულობის ზრდის პროპორციულად წინა წლების მონაცემების შედარებით შემცირებულია ყველა სახის ხარჯი, როგორც კომერციული ასევე ადმინისტრაციული, ხოლო საპროცენტო ხარჯის ზრდა გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით.

6. განვითარების გეგმა

2018 წლის განვითარების ძირითად გეგმას წარმოადგენს საექსპორტო ბაზრების გაფართოვება. ასევე კომპანიის ძირითადი საშუალებების განახლება და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. განვითარების გეგმის შესაბამისად დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის შრომის ანაზღაურების ზრდა კვალიფიკაციის შესაბამისად.

ასევე დაგეგმილია ახალი პროდუქციის შექმნა და კომპანიის ბრენდირება ხარისხის მართვის სტანდარტების შესაბამისად.

დირექტორი

მ. ფოთოლაშვილი

საკმარისი და შესაფერისი იქნება მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლი აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმო კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ

განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკატური არ არის

- მოსაზრების მოდიფიცირება. ჩემი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

- ვაფასებ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებ, ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდი ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ოლღა ყურაშვილი

5 ოქტომბერი 2018 წ.

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-524738

ოლღა ყურაშვილი
მის: მთაწმინდის ქ. 7
მობ: 577 435298
ელ.ფოსტა: o.kurashvili@gmail.com

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) რომელიც არ არის
ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორული დასკვნა

შპს „გრუზინპრომი“-ს სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ჩემი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობით ანგარიშგებას) და არანაირ მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენ მასზე.

ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით აუდიტორის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნო ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობით ანგარიშგებას) და განვიხილო სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან. ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მმართველობითი ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებიდან და ასახავს კომპანიის ისტორიას და საქმიანობის მიმოხილვას.

ოლღა ყურაშვილი

5 ოქტომბერი 2018 წ.

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-524738

შპს „გრუზინპრომი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	19,241,897	9,890,498
არამატერიალური აქტივები	1,935	824
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,243,833	9,891,322
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	32,345,860	30,092,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,737,649	14,136,428
სხვა მიმდინარე აქტივები	9,115	113
საგადასახადო აქტივები	2,021,092	876,520
ფული და ფულის ექვივალენტები	325,611	2,185,342
სულ მიმდინარე აქტივები	57,439,327	47,291,293
სულ აქტივები	76,683,159	57,182,615
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
კაპიტალი	59,841,789	57,740,282
აკუმულირებული მოგება/ზარალი	(22,732,862)	(26,851,587)
სულ კაპიტალი	37,108,927	30,888,694
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	24,941,818	15,480,448
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	24,941,818	15,480,448
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,634,882	6,804,118
გადასახდელი ხელფასები	15,123	9,355
სხვა ვალდებულებები	982,409	4,000,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,632,414	10,813,473
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	76,683,159	57,182,615

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 აპრილს.

დირექტორი

მ.ფოთოლაშვილი

6. განვითარების გეგმა

2018 წლის განვითარების ძირითად გეგმას წარმოადგენს საექსპორტო ბაზრების გაფართოვება. ასევე კომპანიის ძირითადი საშუალებების განახლება და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. განვითარების გეგმის შესაბამისად დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის შრომის ანაზღაურების ზრდა კვალიფიკაციის შესაბამისად.

ასევე დაგეგმილია ახალი პროდუქციის შექმნა და კომპანიის ბრენდირება ხარისხის მართვის სტანდარტების შესაბამისად.

დირექტორი

მ. ფოთოლაშვილი

